

# საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა 2014

პირველი კვარტალი







პირველი კვარტალი

# საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა 2014

მაისი, 2014

ანგარიში მომზადდა ღია საზოგადოების ინსტიტუტის ფონდების ფინანსური მხარდაჭერით ანალიტიკური ორგანიზაციების ინსტიტუციონალური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.

© ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი



# სარჩევი

ძირითადი მიგნებები.....	6
ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში .....	8
სამომხმარებლო ფასების ინდექსი.....	11
საგარეო სექტორი .....	13
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები .....	13
ფულადი გზავნილები .....	15
ვაჭრობა .....	16
დასაქმება.....	21
დასკვნები და რეკომენდაციები .....	24
გრაფიკი 1 ბიზნესის კეთების ინდექსის რეიტინგი და რეალურ მშპ-სთან შედარება (დოიჩე ბანკის კვლევა).....	9
გრაფიკი 2 მშპ რეალური ზრდა (%), <a href="http://www.geostat.ge">www.geostat.ge</a> , <a href="http://www.ebrd.com">www.ebrd.com</a> .....	10
გრაფიკი 3 მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ აშშ დოლარი), <a href="http://www.geostat.ge">www.geostat.ge</a> .....	10
გრაფიკი 4 სასაქონლო ფასების ინდექსი. <a href="http://www.fao.org">www.fao.org</a> .....	11
გრაფიკი 5 ინფლაცია %, <a href="http://www.geostat.ge">www.geostat.ge</a> .....	12
გრაფიკი 6 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, <a href="http://www.geostat.ge">www.geostat.ge</a> .....	14
გრაფიკი 7 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით (ათასი აშშ დოლარი), <a href="http://www.geostat.ge">www.geostat.ge</a> .....	14
გრაფიკი 8 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით, <a href="http://www.geostat.ge">www.geostat.ge</a> .....	15
გრაფიკი 9 ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი), <a href="http://www.geostat.ge">www.geostat.ge</a> .....	16
გრაფიკი 10 ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით 2014, <a href="http://www.nbg.ge">www.nbg.ge</a> .....	16
გრაფიკი 11 სავაჭრო ბალანსი (მლნ დოლარი), <a href="http://www.geostat.ge">www.geostat.ge</a> .....	17
გრაფიკი 12 ექსპორტი და იმპორტი (მლნ აშშ დოლარი), <a href="http://www.geostat.ge">www.geostat.ge</a> .....	18
გრაფიკი 13 ექსპორტი ქვეყნების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი), <a href="http://www.geostat.ge">www.geostat.ge</a> .....	19
გრაფიკი 14 ლენისა და მინერალური წყლების ექსპორტი (ათასი აშშ დოლარი), <a href="http://www.geostat.ge">www.geostat.ge</a> .....	19
გრაფიკი 15 იმპორტი ქვეყნების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი), <a href="http://www.geostat.ge">www.geostat.ge</a> .....	20
გრაფიკი 16 იმპორტი მთავარი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, <a href="http://www.geostat.ge">www.geostat.ge</a> .....	20
გრაფიკი 17 უმუშევრობის დონე (%), <a href="http://www.geostat.ge">www.geostat.ge</a> .....	22
გრაფიკი 18 დასაქმებულთა განაწილება (%), <a href="http://www.geostat.ge">www.geostat.ge</a> .....	22
გრაფიკი 19 ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა, <a href="http://www.geostat.ge">www.geostat.ge</a> .....	23
გრაფიკი 20 ბიზნეს სექტორში დასაქმებულები საქმიანობის მიხედვით, <a href="http://www.geostat.ge">www.geostat.ge</a> .....	23

# ძირითადი მიზნები

- 2014 წლის აპრილის თვეში ეკონომიკის ზრდის ტემპი საგრძნობლად შემცირდა, კერძოდ თუ პირველი კვარტლის მდგომარეობით, 7,4 პროცენტისიანი ზრდა დაფიქსირდა, აპრილში ზრდამ 2,7 პროცენტი შეადგინა.
- 2014 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 4%-იან ზრდას ვარაუდობს, თუ უკრაინის კრიზისი უფრო არ გაღრმავდება. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და საქართველოს მთავრობამ, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5%-ით განსაზღვრეს, ხოლო მსოფლიო ბანკის მოლოდინი კიდევ უფრო ოპტიმისტურია და ის 2014 წელს 6.3%-იან ზრდას პროგნოზირებს.
- ქვეყანამ დეფლაციიდან თავის დაღწევა შეძლო და ნელნელა წლიური ინფლაციის გეგმიურ დონეს უახლოვდება. გაზრდილი მოთხოვნის და ეროვნული ვალუტის გაუფასურების გათვალისწინებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ინფლაციის 5%-იან მაჩვენებელს ვარაუდობს საქართველოში 2015 წელს. ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი სტაბილური რჩება დსთ-ის რეგიონში, თუმცა ზოგი ქვეყანა კვლავ მაღალი ინფლაციის პრობლემის წინაშე დგას. ევროკავშირში ინფლაციის მაჩვენებელი დაბალია - დაახლოებით 1% და სავარაუდოდ, ამავე დონეზე დარჩება; იაპონია კი მხოლოდ ახლა გამოდის დეფლაციის მდგომარეობიდან.
- 2013 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა ოდნავ გაიზარდა - დაახლოებით 3 მილიონი აშშ დოლარით, იმ მკვეთრი 22%-იანი კლების შემდეგ, რაც პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2012 წელს აღინიშნა. მსოფლიო ინვესტიციების პერსპექტივის 2014 წლის კვლევის თანახმად, მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1.6 ტრილიონამდე ზრდა არის მოსალოდნელი, რაც 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით თითქმის 150 მილიარდით მეტია. განვითარებადი ქვეყნების მიერ მოზიდულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა განვითარებული ქვეყნებისას 142 მილიარდი დოლარით გადააჭარბა და 703 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 4%-ით ნაკლებია.
- ფულადი გზავნილების მოცულობა კვლავ ბევრად აღემატება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას. 2013 წელს ფულადი გზავნილები 50%-ზე მეტით აჭარბებდა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. რუსეთი ფულადი გზავნილების უმსხვილეს წყაროდ რჩება. მიუხედავად რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე კრიზისისა, 2014 წლის პირველ კვარტალში ფულადი გზავნილების მოცულობამ 323.5 მილიონ დოლარს მიაღწია, რაც 2013 წლის პირველი კვარტლის 311 მილიონ დოლართან შედარებით ზრდის მაჩვენებელია. თუმცა, 2014 წლის აპრილში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 120.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 1.5 პროცენტით ნაკლებია 2013 წლის აპრილის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 18 პროცენტით არის შემცირებული ფულადი გზავნილები უკრაინიდან, 3 პროცენტამდე კლება აღინიშნა გზავნილებზე საბერძნეთიდან, თურქეთიდან, გერმანიიდან და დიდი ბრიტანეთიდან.



- ბოლო წლებში ექსპორტის თანმიმდევრული ზრდის მიუხედავად, ქვეყანაში ექსპორტ-იმპორტის დისბალანსი მაინც დიდია. მართალია, ეს დისბალანსი წინა წელთან შედარებით შემცირდა, მაგრამ 2013 წელს იმპორტი ექსპორტს 4.9 მილიარდი აშშ დოლარით აჭარბებდა. ბოლო წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით მინერალური წყლების და ღვინის ექსპორტი გამოირჩეოდა.
- უმუშევრობა საქართველოს ეკონომიკისთვის პრობლემად და საქართველოს მთავრობისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. 2010 წლიდან უმუშევრობის დონემ 16.5%-ის ნიშნულიდან კლება დაიწყო, 2013 წლის მონაცემებით, უმუშევრობის დონე 2012 წელთან შედარებით 0.4 პროცენტით შემცირდა და 14,6 პროცენტი შეადგინა. 2013 წელს კერძო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 15 362-ით შემცირდა (2,8 პროცენტით) და ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 519 035 შეადგინა.

# ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში

მშპ-ს რეალური ზრდის შენელება 2011 წლიდან დაიწყო, ანუ იმ წლიდან, როდესაც ყველაზე მაღალი ზრდის მაჩვენებელი - 7.2% დაფიქსირდა. 2012 წელს ეკონომიკის ზრდა 6.2%-მდე შემცირდა, ხოლო 2013 წელს ქვეყანაში ზრდის ტემპი კიდევ უფრო დაბალი - 3.2% იყო. ეკონომიკური ზრდის შენელება სხვადასხვა მიზეზებით შეიძლება აიხსნას. მშპ-ის ზრდის ტემპის დადმასვლა 2012 წელს დაიწყო - საპარლამენტო არჩევნების წელს, რომლის შედეგადაც ქვეყანაში, პირველად 8 წლის განმავლობაში, ხელისუფლება დემოკრატიული გზით შეიცვალა. შესაძლოა, ეს იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლების მიზეზი, რადგან არჩევნებთან და მით უმეტეს, რეჟიმის ცვლილების მომტან არჩევნებთან დაკავშირებით ინვესტორებს შორის გაურკვეველობა სუფევდა. ზრდის კლების მსგავსი სცენარი 2007 წლის შემდეგაც აღინიშნა, ანუ იმ წლისა, როდესაც მშპ-ს ზრდამ ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. თუმცა, 2007 წელს რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოს და 2008 წლის ომის გამო ზრდის ტემპი შენედა და 2009 წელს ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი უარყოფითი -3.8% იყო .

საერთაშორისო სავალუტო ფონდი 2014 და 2015 წლებში ეკონომიკის 5%-იან ზრდას პროგნოზირებს ორივე წლისთვის<sup>1</sup>. მსოფლიო ბანკს უფრო ოპტიმისტური მოლოდინი აქვს და 2014 წელს საქართველოში 6.3%-იან ეკონომიკურ ზრდას ვარაუდობს; 2015 წლის პროგნოზიც ანალოგიურია, ხოლო 2016 წლისა ოდნავ მეტი - 6.5%.<sup>2</sup> ოპტიმისტური პროგნოზები შეიძლება უკავშირდებოდეს ქვეყნის ხელისუფლების მიერ დაგეგმილ ქმედებებს, რომლებიც ეკონომიკის გაძლიერებას და ზრდის სტიმულირებას ისახავს მიზნად. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ეს საკითხი თავის ბოლო ანგარიშში, „მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივა,, განიხილა, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველო და სომხეთი 2014 წელს ფისკალური სტიმულირების და სხვადასხვა სტრუქტურული რეფორმის განხორციელებას გეგმავენ, რომლებიც ბიზნესგარემოს გაუმჯობესების, ეკონომიკის დივერსიფიკაციის და საგარეო კონკურენტულობის ზრდისკენ არის მიმართული.<sup>3</sup> ეს ცვლილებები შესაფერისი და გონივრული ჩანს თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხალხს ამ მთავრობის მიმართ მაღალი მოლოდინები ჰქონდა და ამ მთავრობის ქმედებებს, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორებიც ეკონომიკა და ბიზნესგარემოა, გამადიდებელი შუშით აკვირდებიან. თუმცა, მთავრობის საქმიანობამ ეკონომიკის განვითარებაში მოლოდინები ვერ გაამართლა; ამიტომ, სწორ ქმედებებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმის საჩვენებლად, რომ ქვეყანაში სტაბილურობა და ქვეყანა უფრო სწრაფად თუ არა, სულ ცოტა, იმ ტემპით მაინც ვითარდება, როგორც წინა ხელისუფლების დროს ვითარდებოდა. აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის თანახმად, გამოკითხულთა მხოლოდ 6% დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ახლანდელი ხელისუფლება ხალხისთვის მნიშვნელოვან რეფორმებს ახორციელებს. ამ მოსაზრებას ნაწილობრივ 49%-ი დაეთანხმა; დანარჩენი კი ან არ დაეთანხმა ან პასუხი ვერ გასცა. იმავე კვლევის მიხედვით, რეგიონების უმეტესობაში რესპონდენტთა 60%-ზე მეტი, ხოლო ზოგ რეგიონში 70%-ზე მეტი, თავს უმეუვერად მიიჩნევს.<sup>4</sup> დოიჩე ბანკის თანახმად, საქართველოს კვლავ კარგი პოზიცია უკავია ბიზნესგარემოს თვალსაზრისით, განსაკუთრებით

1 <http://www.worldbank.org/en/country/georgia/overview>

2 იქვე.


3 საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივა, 2014 წლის აპრილი.

4 აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი; <http://www.civil.ge/files/files/2014/NDI-Poll-April2014-geo.pdf>



„ბიზნესის კეთების ინდექსის„ ზოგი მაჩვენებლის მიხედვით: ქვეყანა მნიშვნელოვნად უსწრებს დსთ-ის ყველა სხვა სახელმწიფოს და სიის პირველ ათეულში რჩება.<sup>5</sup>

გრაფიკი 1 ბიზნესის კეთების ინდექსის რეიტინგი და რეალურ მშპ-სთან შედარება (დოიჩე ბანკის კვლევა)



ბევრი რამ, რაც ზემოთ აღინიშნა, წინა ხელისუფლების პირობებში განხორციელდა და ამიტომ, ახალი მთავრობისთვის უმნიშვნელოვანესია მკაფიო პოლიტიკის გატარება და ისეთი ინიციატივების განხორციელება, რომლებიც ბიზნესგარემოს მაღალ რეიტინგებს შეუნარჩუნებს.


დოიჩე ბანკი დსთ-ს ეკონომიკებში მშპ-ის ზრდას მოელის, მაგრამ ზრდის ტემპი, მსოფლიოს სხვა რეგიონების მსგავსად, დაბალი იქნება კრიზისამდელი პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით. თუმცა, დოიჩე ბანკმა საქართველოს 2013 წელს 4.5%-იანი ზრდა უწინასწარმეტყველა და ეს ოპტიმისტური პროგნოზი არ გამართლდა.

მთლიანობაში, ქვეყანა ბევრად უკეთ ვითარდება, ვიდრე დსთ-ის რეგიონი, რომელსაც საქართველოს ხშირად მიაკუთვნებენ და ადარებენ მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ ეს გაერთიანება 2008 წელს დატოვა. დსთ-ის ქვეყნების საერთო საშუალო ზრდა 2013 წელს მხოლოდ 2.1%-ს შეადგენდა, ხოლო მათი მშპ-ის ზრდის პროგნოზი 2014 წლისთვის 3.1%-ით განისაზღვრა. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გათვლებით, საქართველოს ეკონომიკა 2014 და 2015 წლებში 4%-ით გაიზრდება, რაც თავდაპირველ პროგნოზთან შედარებით 0.5%-ით არის შემცირებული უკრაინის კრიზისის გამო.

5 დოიჩე ბანკის კვლევა, „დსთ-ის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური პერსპექტივები..“

გრაფიკი 2 მშპ რეალური ზრდა (%), [www.geostat.ge](http://www.geostat.ge), [www.ebrd.com](http://www.ebrd.com)

## მშპ რეალური ზრდა %



მართალია ზრდის ტემპი მცირდება, მაგრამ ზრდა მაინც ნულოვან ნიშნულს საკმაოდ აღემატება და ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მაღალ ნომინალურ მშპ-ს - 16.126 მილიარდ აშშ დოლარს, და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის 3,220-დან 3, 507 აშშ დოლარამდე ზრდას აჩვენებს.<sup>6</sup> მშპ-ის რეალური საშუალო ზრდა 2014 წლის პირველ კვარტალში 7.4% იყო, რაც იმედისმომცემი ნიშანია როგორც ქვეყნისთვის, ასევე იმათთვის, ვინც მომდევნო ორ წლის განმავლობაში მშპ-ის ზრდა იწინასწარმეტყველა.<sup>7</sup> თუმცა აპრილის თვეში დაფიქსირებული 2,7 პროცენტის ზრდა გვაფიქრებინებს, რომ პირველი კვარტლის მაღალი ზრდა განპირობებული იყო საბაზო ეფექტით, კერძოდ 2013 წლის მეოთხე კვარტალში განხორციელებული მაღალი საბიუჯეტო დანახარჯების ეფექტით, რომლის ფარგლებშიც განხორციელებული სამუშაოების დადგენილება 2014 წლის პირველ კვარტალში მოხდა, რამაც გამოიწვია დღე ბრუნვის და შესაბამისად ეკონომიკის ზრდა.

გრაფიკი 3 მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ აშშ დოლარი), [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ აშშ დოლარი)



6 <http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD>

7 [http://geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/english/economic/monthly%20economic%20statistics\\_March\\_2014.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/english/economic/monthly%20economic%20statistics_March_2014.pdf)

# სამომხმარებლო ფასების ინდექსი

2012 წლიდან ინფლაციის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მცირდებოდა. ინფლაციამ ყველაზე მაღალ ნიშნულს 2011 წლის ზაფხულში მიაღწია და 11.4% შეადგინა. პიკის მიღწევის შემდეგ, ინფლაციამ კლება დაიწყო, დეფლაციის ნიშნულამდე დაეცა და 2013 წლის ბოლომდე ასეთად დარჩა. ინფლაციის აღნიშნული კლება შეიძლება 2012 და 2013 წლებში საკვებ პროდუქტებზე მსოფლიო ფასების შემცირებით აიხსნას (იხილეთ გრაფიკი 4), ვინაიდან საქართველოში საკვები პროდუქტები სამომხმარებლო კალათის 31%-ს შეადგენს.<sup>8</sup> საქართველოს ეროვნულმა ბანკმა აკომოდაციური (ანუ, საპროცენტო განაკვეთების შემცირებით ეკონომიკური ზრდის სტიმულირების) მონეტარული პოლიტიკის გატარება სცადა და რეფინანსირების განაკვეთები შეამცირა, რათა 2012-2014 წლებში ინფლაციის მაჩვენებელს დაგეგმილი 6%-იანი ნიშნულისთვის მიეღწია. თუმცა, ფინანსური შუამავლობის დაბალი აქტივობის, მოთხოვნის კლების და სესხებისა და დეპოზიტების მაღალი დოლარიზაციის გამო, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა ნაკლებად ეფექტიანი იყო.<sup>9</sup>

გრაფიკი 4 სასაქონლო ფასების ინდექსი. [www.fao.org](http://www.fao.org)



სამომხმარებლო ფასების ინდექსმა ზრდა მხოლოდ ახლახან, 2014 წელს, დაიწყო და ინფლაცია მიღწეული იქნა, რომელიც 2014 წლის პირველ კვარტალშიც აგრძელებდა მატებას. წელს, პირველი

<sup>8</sup> დოიჩე ბანკის კვლევა, „დსთ-ის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური პერსპექტივები.“

<sup>9</sup> იქვე



რამდენიმე თვის განმავლობაში, ინფლაცია 1%-ის ფარგლებში იყო. თუმცა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მოთხოვნის მატების და ვალუტის გაუფასურების გათვალისწინებით, 2014 წელს ინფლაციის 4.6%-მდე ზრდას ვარაუდობს, ხოლო 2015 წელს 5%-მდე.<sup>10</sup>


ინფლაციის დინამიკა მერყევი იყო მსოფლიოს ბევრ რეგიონში, მათ შორის ევროკავშირში, აშშ-სა და იაპონიაში, სადაც დეფლაციაა, თუმცა ჩანს იმის ნიშნები, რომ ქვეყანა გამოდის ამ მდგომარეობიდან. ინფლაციის დონე ძალიან დაბალია როგორც ევროკავშირში ასევე აშშ-ში. ევროკავშირში ინფლაცია სავარაუდოდ 1%-ის ფარგლებში იქნება და 2015 წლამდე ამ ნიშნულზე შენარჩუნდება; ეს ამ გაერთიანებაში არსებული დაბალი მოთხოვნით აიხსნება, რადგან ეკონომიკის გამოცოცხლება მხოლოდ ახლახან დაიწყო.<sup>11</sup> ევროკავშირის ზოგ ნევრ ქვეყანაში დეფლაციაა, დეფლაციის საშიშროება ასევე არის ზოგი ევროკავშირის სხვა ქვეყნების პერიფერიებში.

დსთ-ის რეგიონში ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი მართალია, სტაბილურია, მაგრამ ზოგი ქვეყანა მაღალი ინფლაციის პრობლემის წინაშე დგას: უზბეკეთსა და ბელარუსში ინფლაციის ორნიშნა მაჩვენებლებია, ამათგან პირველში 11%, ხოლო მეორეში კიდევ უფრო მაღალი - 16.8%, და არც პერსპექტივა ჩანს ოპტიმისტური.<sup>12</sup>

უზბეკეთში ორნიშნა ინფლაცია გაგრძელდება ადმინისტრაციული ხარჯების ზრდის, ვალუტის გაუფასურების და დაკრედიტების ძლიერი ზრდის გამო. რისკების ბალანსი უარყოფითისკენ იხრება, თუ გავითვალისწინებთ გეოპოლიტიკურ გაურკვევლობას, რაც რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას უკავშირდება, ფინანსური პრობლების გამკაცრებას და კაპიტალის მერყევ ნაკადებს.<sup>13</sup>

გრაფიკი 5 ინფლაცია %, [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

### ინფლაცია % (12 თვის საშუალო მაჩვენებელი)



10 საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივა, 2014 წლის აპრილი.

11 ევროპის თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, «მოწინავე ეკონომიკების მიმდინარე გამოცოცხლება, განსხვავებები განვითარებად ეკონომიკებს შორის», მარტი 2014.

12 საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივა, 2014 წლის აპრილი.

13 იქვე.

# საბარეო საქტორი

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2011 წელს საქართველომ, ბოლო სამი წლის განმავლობაში, ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მოიზიდა - 1.117 მილიარდი აშშ დოლარი. თუმცა 2012-ში ინვესტიციები მნიშვნელოვნად - 22%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით და 911 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 2013 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა ოდნავ გაიზარდა, მხოლოდ სამი მილიონი დოლარით 2012-თან შედარებით.

მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა 2014 წელს 1.6 ტრილიონ დოლარამდეა მოსალოდნელი, ხოლო 2015-ში 1.8 ტრილიონ დოლარამდე, რაც 2013 წლის 1.45 ტრილიონ დოლართან შედარებით ზრდის მაჩვენებელია.<sup>14</sup> მეორე მხრივ, ეს მხოლოდ პროგნოზია და ზრდის ამ სცენარს რისკები ახლავს. ამ რისკებს შორის არის წამყვანი განვითარებული ეკონომიკების სტრუქტურის სისუსტეები, გლობალური ფინანსური სისტემის სისუსტეები და სხვადასხვა სფეროში პოლიტიკის გაურკვეველობა, როგორცაა ფისკალური პოლიტიკა და საინვესტიციო რეგულაციები და შეზღუდვები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ინვესტორთა ნდობის მოსაპოვებლად<sup>15</sup>. აღნიშნული რისკებიდან გამომდინარე, პროგნოზირებული სცენარი შეიძლება ვერ შესრულდეს და გაუმჯობესება კვლავ გადაიდოს.

განვითარებულ ქვეყნებში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2012 წელს 561 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო განვითარებად ქვეყნებში - 703 მილიარდი დოლარი<sup>16</sup>.


განვითარებული ეკონომიკებისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი სტიმულს არ წარმოადგენს, ისინი უფრო განვითარებადი ეკონომიკებისთვისაა მნიშვნელოვანი. მაგალითად, საქართველოში არ არის ბევრი მსხვილი ადგილობრივი კორპორაცია ან კომპანია, რომლებიც მულტინაციონალურ კომპანიებად ჩაითვლებოდა და რომელთა შემოსავლებიც ისეთი მოცულობის იქნებოდა, რომ შესაძლებელი იქნებოდა ეკონომიკაში რეინვესტირება და ამით ქვეყნის განვითარების ხელშეწყობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ფულადი გზავნილების გარეშე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეიძლება უმნიშვნელოვანესი იყოს, ასევე, უმუშევრობის პრობლემის, სულ ცოტა, ნაწილობრივ გადაჭრისთვის მაინც, რადგან უცხოური ინვესტიციებით ახალი ბიზნესების დანყება ან არსებულის განვითარება მეტ სამუშაო ადგილებს შექმნის.

14 მსოფლიო ინვესტიციების პერსპექტივების კვლევა 2014-2015 წლები. [http://unctad.org/en/PublicationsLibrary/webdiaeia2013d9\\_en.pdf](http://unctad.org/en/PublicationsLibrary/webdiaeia2013d9_en.pdf)


15 იქვე.

16 IFLR, ანგარიში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ, [http://www.iflr.com/pdfs/IFLR-Foreign-Direct-Investment-Report-2014\\_Media-Pack.pdf](http://www.iflr.com/pdfs/IFLR-Foreign-Direct-Investment-Report-2014_Media-Pack.pdf)

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)



პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი მოცულობიდან ყველაზე დიდი წილი ბოლო ორი წლის მანძილზე ენერჯეტიკის სექტორმა მიიღო - 2013 წელს 197 მილიონი, რც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 21%-ა, ხოლო 2012 წელს 179 მილიონი, ანუ მთლიანი მოცულობის 19%. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სხვა ნაკადების მსხვილი მიმდებები წარმოების, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის და ფინანსური სექტორები იყო.



ინვესტიციების ყველაზე მსხვილი ნაკადი ნიდერლანდებიდან შემოვიდა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 21% შეადგინა; სიდიდით შემდეგი ქვეყნები იყვნენ ლუქსემბურგი - 17%, აზერბაიჯანი - 16%, ჩინეთი - 11% და თურქეთი - 8%.



### ფულადი გზავნილები

ფულადი გზავნილები მონეტარული ნაკადების ძლიერი და სანდო წყაროა და როგორც მონაცემები აჩვენებს, ბევრად აღემატება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას საქართველოში. თუ 2013 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 914 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია, ფულადი გზავნილები ამავე წელს 50%-ით მეტი იყო და 1.476 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. ფულადი გზავნილები საქართველოს ეკონომიკის დიდ წილს შეადგენდა წლების განმავლობაში და ბოლო წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. ამ თვალსაზრისით 2014 წელიც იმედისმომცემი ჩანს; პირველი სამი თვის განმავლობაში დაახლოებით 323 მილიონი დოლარი შემოვიდა საქართველოს ეკონომიკაში ფულადი გზავნილების სახით. 2014 წლის პირველ კვარტალში, 2012 და 2013 წლების შესაბამის პერიოდებთან შედარებით, ფულადი გზავნილების ნაკადები სტაბილური იყო ყველა ქვეყნიდან. წინა ორ წელთან შედარებით, ზოგი ქვეყნიდან ფულადი გზავნილების მცირედი კლება, ხოლო ზოგიდან მცირედი მატება აღინიშნა. მთლიანობაში კი, 2014 წლის პირველ კვარტალში შემოსული ფულადი გზავნილები დაახლოებით 12.5 მილიონი აშშ დოლარით აღემატებოდა 2013 წლის პირველი კვარტლის შესაბამის მაჩვენებელს. თუმცა, 2014 წლის აპრილში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 120.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 1.5 პროცენტით ნაკლებია 2013 წლის აპრილის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 18 პროცენტით არის შემცირებული ფულადი გზავნილები უკრაინიდან, 3 პროცენტამდე კლება აღინიშნა გზავნილებზე საბერძნეთიდან, თურქეთიდან, გერმანიიდან და დიდი ბრიტანეთიდან.

უკრაინაში მიმდინარე კრიზისმა, დასავლეთის სანქციებმა რუსეთზე და რუსეთის კონტრსანქციებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საქართველოში ფულადი გზავნილების შემოდინებაზე საშუალოვადიან პერსპექტივაში. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ფულადი გზავნილების

ყველაზე მსხვილ გამომგზავნ ქვეყნებს შორის ცვლილება არ მომხდარა. ჯერჯერობით ყველაზე მსხვილი გამომგზავნი რუსეთია და ამ ქვეყნიდან შემოსული ფულადი გზავნილები სამჯერ აღემატება სიდიდით მეორე ქვეყანას - საბერძნეთს. აქედან გამომდინარე, რუსეთის ეკონომიკის მიმდინარე გაუარესება და სანქციების შედეგად, ამ მდგომარეობის მოსალოდნელი გაღრმავება, შეიძლება დროთა განმავლობაში საქართველოში ფულადი გზავნილების შემოსულ ნაკადზეც უარყოფითად აისახოს.


გრაფიკი 9 ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი), [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი)



გრაფიკი 10 ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით 2014, [www.nbg.ge](http://www.nbg.ge)

## ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით 2014 (3 თვე)



### კატორგა

ამჟამად საქართველოში დიდი სავაჭრო დეფიციტია და იმპორტის მოცულობა ბევრად აღემატება ექსპორტის მოცულობას. დეფიციტი ბოლო სამი წლის განმავლობაში გაიზარდა. მართალია, 2013 წელს ეს დისბალანსი შემცირდა, მაგრამ 2010 წლიდან მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდებოდა. 2011




წელს, სავაჭრო ბალანსი -4869 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. 2012 წელს ის -5465 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო 2013 წელს -4965 მილიონ აშშ დოლარამდე შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ დისბალანსი 2012 წელს ნაკლები იყო, ის მაინც აღემატებოდა 2012 წლამდე რამდენიმე წლის განმავლობაში არსებულ მაჩვენებლებს. აშკარაა, რომ ქვეყანა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტზე.

გრაფიკი 11 სავაჭრო ბალანსი (მლნ დოლარი), [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## სავაჭრო ბალანსი(მლნ აშშ დოლარი)

■ სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)



საქართველოს იმპორტის ღირებულება 7874 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც ოდნავ აღემატებოდა წინა წლის მაჩვენებელს - 7842 მილიონ აშშ დოლარს. ექსპორტი 2010 წლიდან აღმავალ ტენდენციას აჩვენებს, თუმცა მას იმპორტი ბევრად აღემატება. 2007 წელს რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოს მიუხედავად, ექსპორტმა 2008 წელს ზრდა აჩვენა და მას შემდეგ ამ ტენდენციას სტაბილურად ინარჩუნებს. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქართველომ შეძლო რუსეთის ბაზარი სხვა ბაზრებით ჩაენაცვლებინა, რუსეთი იყო ერთ-ერთი წამყვანი საექსპორტო ქვეყანა საქართველოსთვის. ემბარგოს შემდეგ, რუსეთთან გაუმჯობესებული სავაჭრო ურთიერთობების მკაფიო ტენდენცია 2013 წელს გამოჩნდა და წინა წლებთან შედარებით ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. შესაბამისად, მოსალოდნელია ექსპორტის მთლიანი მოცულობის შემდგომი ზრდა. 2014 წლის პირველ კვარტალში ექსპორტის კარგი მაჩვენებელი დაფიქსირდა - სამ თვეში ქვეყნიდან 696 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ექსპორტი განხორციელდა.

მეორე მხრივ, ისტორიული გამოცდილება და არსებული დიპლომატიური ურთიერთობები გვკარნახობს, რომ საქართველო არ უნდა გახდეს რუსეთის ბაზარზე მნიშვნელოვნად დამოკიდებული, რადგან სიტუაცია შეიძლება ნებისმიერი მომენტში უარესობისკენ შეიცვალოს თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთს ქვეყნის ორი რეგიონი აქვს ოკუპირებული. გარდა ამისა, უკრაინასა და რუსეთს შორის არსებული დაძაბულობის გამო, რუსეთის ბაზარი შეიძლება უფრო არასტაბილური და არაპროგნოზირებადი გახდეს. რუსეთზე დაწესებული სანქციები და რუსეთის მიერ დაწესებული




კონტრსანქციები შეიძლება უარყოფითად აისახოს ვაჭრობასა და ფინანსურ აქტივებზე, რაც ასევე გავლენას მოახდენს იმ რეგიონის სხვადასხვა ქვეყანაზე, რომლებსაც ეს სანქციები ეხება.<sup>17</sup> გარდა ამისა, რუსეთის და უკრაინის ეკონომიკების დაბალმა ზრდამ შეიძლება სანქციების გარეშეც იქონიოს გავლენა მეზობელ ქვეყნებზე.<sup>18</sup> აღნიშნული კრიზისი და რუსეთის ეკონომიკის გაუარესება ნამდვილად უარყოფითად იმოქმედებს დსთ-ის დანარჩენ ქვეყნებზე, რადგან რუსეთი დსთ-ის ქვეყნების წამყვანი საექსპორტო ბაზარია. ეს საქართველოს ბაზრისთვის პოტენციურად კიდევ უფრო საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე რუსეთის ბაზრის არქონა, რადგან საქართველოს ექსპორტის უდიდესი ნაწილი დსთ-ის ქვეყნებში გადის.

ევროკავშირი სიდიდით მეორე საექსპორტო ბაზარია საქართველოსთვის და ევროკავშირთან მზარდი სავაჭრო ურთიერთობები ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საქართველო ცდილობს, მოიპოვოს ადგილი ევროპის ბაზარზე და არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ აღმოსავლეთის ბაზრებსა და იმ რეგიონის ბაზრებზე, რომელშიც ქვეყანა მდებარეობს. ის, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აშშ საქართველოს უფრო დიდი საექსპორტო ბაზარი იყო, ვიდრე რუსეთი, ამ ფაქტის კიდევ ერთი დასტურია.

გრაფიკი 12 ექსპორტი და იმპორტი (მლნ აშშ დოლარი), [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## ექსპორტი და იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)



17 საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივა, 2014 წლის აპრილი.

18 იქვე.


გრაფიკი 13 ექსპორტი ქვეყნების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი), [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)



მინერალური წყლები და ღვინო წამყვან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციად რჩება საქართველოში. რუსეთის ემბარგოს შემდეგ, ამ პროდუქტების ექსპორტი იზრდებოდა. გამონაკლისი 2009 წელი იყო, ანუ, რუსეთთან ომის მომდევნო წელი. 2013 წელს ღვინის ექსპორტი 127 მილიონ აშშ დოლარს აღემატებოდა, ხოლო მინერალური წყლების ექსპორტი 106 მილიონ აშშ დოლარი იყო, რაც, ერთად აღებული, 2013 წლის მთლიანი ექსპორტის თითქმის 8%-ს შეადგენს.

გრაფიკი 14 ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტი (ათასი აშშ დოლარი), [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)


### ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტი (ათასი აშშ დოლარი)



საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი კვლავ თურქეთია. ამ ქვეყნიდან შემოსული იმპორტის მოცულობა ბევრად აღემატება ნებისმიერი სხვა ქვეყნიდან საქართველოში შემოტანილ იმპორტს. მაგალითად, ბოლო რამდენიმე წელია აზერბაიჯანი სიდიდით მეორე მომწოდებელია, თუმცა ამ ქვეყნიდან საქართველოში შემოსული იმპორტის მოცულობა ორჯერ და მეტად ჩამოუვარდება თურქეთიდან იმპორტის მოცულობას.

გრაფიკი 15 იმპორტი ქვეყნების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი), [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## იმპორტი ქვეყნების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)



წამყვან საიმპორტო საქონელს შორის არის ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, ნავთობის აირები, სამკურნალო საშუალებები, ხორბალი და ტელეფონები (იხილეთ გრაფიკი 16).

გრაფიკი 16 იმპორტი მთავარი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## იმპორტი მთავარი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით (მლნ აშშ დოლარი)



# დასაქმება

საქართველოში უმუშევრობა უკვე მრავალი წელია სერიოზული პრობლემაა. 2010 წლის შემდეგ უმუშევრობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2012 წელს დაფიქსირდა - 15%, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის საკმაოდ კარგი გაუმჯობესების მაჩვენებელი იყო 2010 წლის შემდეგ, როდესაც უმუშევრობის დონე 16.3%-ს შეადგენდა. 2013 წელს ეს მაჩვენებელი 15% იყო და 2014 წელს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, მისი 17.3%-მდე ზრდა იყო მოსალოდნელი. თუმცა ფონდმა ეს პროგნოზი მოხსნა და ჯერჯერობით ახალი მაჩვენებელი არ დაუსახელებია. ეს პრობლემა საჯარო პოლიტიკის ყველაზე სერიოზული საკითხია საქართველოში. ეკონომიკურმა ტრანსფორმაციამ ბევრი ინდუსტრიის განადგურება გამოიწვია, რის შედეგადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ხალხი უმუშევარი დარჩა, ხოლო ახლად აღმოცენებული ინდუსტრიები ისეთ ზრდას არ აჩვენებდნენ, რომ ტრანსფორმაციის გზით ყველა დაკარგული სამუშაო ადგილების ჩანაცვლება მომხდარიყო.<sup>19</sup> მოსახლეობის უმეტესობა სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, მათი უმეტესობა კი მცირე საოჯახო მეურნეობაშია თვითდასაქმებული, ვიდრე ამ სექტორში დაქირავებით დასაქმებული.<sup>20</sup> დასაქმება სოფლის მეურნეობაში ძალიან ბუნდოვანი ტერმინია და პოტენციურად ნიშნავს, რომ საქართველოს ისედაც მაღალი უმუშევრობის ოფიციალური მაჩვენებელი შეიძლება სინამდვილეში უფრო მაღალი იყოს, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ მთლიანი სამუშაო ძალის 55%, რომელიც სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, ეროვნული მშპ-ის მხოლოდ 8.2%-ს შეადგენს.<sup>21</sup> ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში 60%-ზე მეტი ადამიანი თვითდასაქმებული იყო და მხოლოდ 38% იყო დაქირავებით დასაქმებული. 2013 წელს დასაქმებული ხალხთა 61.3% იყო თვითდასაქმებული და მხოლოდ დასაქმებული ხალხის 38.7% იყო დაქირავებული (იხილეთ გრაფიკი 18).

2013 წელს კერძო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა მხოლოდ 520 000-მდე იყო, რაც წინა წლის 530 000-ზე მეტ დასაქმებულთან შედარებით კლების მაჩვენებელია. მათი უმეტესობა საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორში და მრეწველობაში იყო დასაქმებული - თითოეულში 100 000 ადამიანზე მეტი. შედარებით ნაკლები დასაქმებული იყო მეთევზეობის სექტორში და რამდენად ირონიულად არ უნდა ჟღერდეს, სოფლის მეურნეობის, ნადირობისა და სატყეო მეურნეობის სექტორში, სადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სამუშაო ძალის უმეტესობაა დასაქმებული.

ევროკავშირსა და ევროზონის ქვეყნებში უმუშევრობის დონე უცვლელი დარჩა - ევროკავშირში 11%-ზე ოდნავ ნაკლები იყო, ხოლო ევროზონის ქვეყნებში 12%-ის ფარგლებში მერყეობდა.<sup>22</sup> განვითარებული სამყაროს სხვა რეგიონებში სიტუაცია ბევრად უკეთესია. იაპონიაში, 2012 წლიდან მოყოლებული, უმუშევრობა 5%-ზე ნაკლებია და 2013 წლის რამდენიმე თვის განმავლობაში 4%-იც კი იყო.<sup>23</sup> გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში უმუშევრობის დონე 8%-ის ფარგლებში ნარჩუნდება, ხოლო 2013 წლის ბოლოსთვის კიდევ უფრო შემცირდა. 2014 წლის დასაწყისში გაერთიანებულ სამეფოში უმუშევრობის მაჩვენებელი 7%-ზე ნაკლები იყო.

19 მსოფლიო ბანკი, ქვეყნის მიმოხილვა, <http://www.worldbank.org/en/country/georgia/overview>

20 იქვე.

21 იქვე.

22 ევროკომისია - ევროპის ეკონომიკური პროგნოზი, 2014 წლის ზამთარი.


23 ევროპის თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, «მონიშნავე ეკონომიკების მიმდინარე გამოცოცხლება, განსხვავებები განვითარებად ეკონომიკებს შორის», მარტი 2014.




ვინაიდან უმუშევრობას ევროკავშირიც ებრძვის და საკუთარ მოქალაქეთა დასაქმება დანარჩენი მსოფლიოსთვისაც უმთავრესი პრიორიტეტია, უმუშევრობა ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია საქართველოს განვითარებისთვის და ის დღეს ქვეყნის ეკონომიკის უმთავრესი პრობლემაა. ოფიციალური სტატისტიკა უმუშევრობის მაღალ დონეს კი აჩვენებს, მაგრამ დასაქმების პრობლემას უფრო ღრმა ფესვები აქვს, ვიდრე ეს ზედაპირზე ჩანს. ამაზე მიუთითებს როგორც დასაქმების ყველა ის სტატისტიკა, რაც ზემოთ განვიხილეთ, ასევე ზოგი სხვა სტატისტიკაც. უმუშევრობის ნებისმიერი დონე ნეგატიურად მოქმედებს ეკონომიკებზე, ვინაიდან ის ნეგატიურად აისახება თითოეულ ინდივიდსა და მათი ცხოვრების ხარისხზე და შესაბამისად, ის უარყოფით გავლენას ახდენს მთლიანად ქვეყანაში არსებულ ცხოვრების სტანდარტებზე.

იმისათვის, რომ საქართველომ პროგრესი გააგრძელოს, გადამწყვეტი მნიშვნელობა უმუშევრობის პრობლემის გადაჭრას ენიჭება; ეს უკავშირდება როგორც უმუშევრობის ოფიციალურ სტატისტიკას, ასევე არაოფიციალურ სტატისტიკას, რომლის იგნორირებაც ვერ მოხერხდება.

გრაფიკი 17 უმუშევრობის დონე (%), [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)




გრაფიკი 18 დასაქმებულთა განაწილება (%), [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)




გრაფიკი 19 ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა, [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა



გრაფიკი 20 ბიზნეს სექტორში დასაქმებულები საქმიანობის მიხედვით, [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## ბიზნეს სექტორში დასაქმებულები საქმიანობის მიხედვით





## დასკვნები და რეკომენდაციები

2014 წლის აპრილის თვეში ეკონომიკის ზრდის ტემპი საგრძნობლად შემცირდა, კერძოდ თუ პირველი კვარტლის მდგომარეობით, 7,4 პროცენტისანი ზრდა დაფიქსირდა, აპრილში ზრდამ 2,7 პროცენტი შეადგინა. 2013 წლის მომაცემებით, უმუშევრობის დონე 2012 წელთან შედარებით 0.4 პროცენტით შემცირდა და 14,6 პროცენტი შეადგინა.

2014 წლის პირველ სამ თვეში გაიზარდა ექსპორტის მაჩვენებელი, რომელმაც წლის პირველ კვარტალში მზარდი ტენდენცია აჩვენა. როგორც აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების აღდგენამ პოზიტიურად იმოქმედა საქართველოს ეკონომიკაზე, ქვეყანამ მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს ამ ბაზარზე დამოკიდებულება და გააგრძელოს სხვა ბაზრებზე თავის დამკვიდრება და ახალი ბაზრების ძიება.

ქვეყნისთვის მთავარ გამოწვევად რჩება უმუშევრობის პრობლემა. სამუშაო ადგილების შექმნისთვის მთავრობამ ბიზნესების განვითარება უნდა წაახალისოს, რაც ასევე გულისხმობს სხვადასხვა ინდუსტრიისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას. მთავრობამ უნდა შექმნას კარგად განსაზღვრული და გრძელვადიანი ეკონომიკური სტრატეგია სტაბილური ბიზნეს გარემოს უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანია, განვითარდეს ადგილობრივი ბიზნესი; ქვეყნის განვითარებისთვის ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია კაპიტალი და ბიზნეს ინიციატივები უცხოური ფირმებისგან. არსებულმა ხელისუფლებამ არა მარტო ხელსაყრელი ბიზნესგარემო უნდა შექმნას, არამედ უნდა დაამყაროს კომუნიკაცია და მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უცხოური ფირმებიდან.







ფალიაშვილი/მოსაშვილის ქ. 85/24, მეოთხე სართული, 0162 თბილისი, საქართველო  
ტელ/ფაქსი: +995 32 2 207 305  
e-mail: [info@eprc.ge](mailto:info@eprc.ge)  
[www.eprc.ge](http://www.eprc.ge)